პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

2 ნოემბერი, ოთხშაბათი, 1988 წ.
№ 211 (9878) ⊙ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# საქართველოს სპორტსმენთა წარმატებები გრძელდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სსრ კავშირის იუნიორ თანამედროვე ხუთჭიდელთა ნაკრები გუნდი, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდა თბილისელი რევაზ ლოხიშვილი, მსოფლიო ჩემპიონია.**

ეს სასიხარულო ცნობა გუშინ მივიღეთ ქაიროდან. საბჭოთა იუნიორთა ნაკრებში ლოხიშვილთან ერთად გამოდიოდნენ ზინოვკა (რსფსრ) და ბრემენი (უკრაინა).

რევაზ ლოხიშვილი მეორე ქართველი ხუთჭიდელია, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა. პირველი იყო ვახტანგ იაგორაშვილი (1984 წელს). შემდეგ წელს ვახტანგი პირად პირველობაშიც გახდა მსოფლიო ჩემპიონი. ლოხიშვილი, რომელიც საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტული სკოლის აღზრდილია, უფროსი მეგობრის კვალს მიჰყვება.



**სურათზე:** მარცხნიდან მეორეა რევაზ ლოხიშვილი.





# გამარჯვება, თანაც როგორი!

**17 ქვეყნის** თითქმის მსოფლიოში ყველა უძლიერესი ბატუტზე მხტომელი მონაწილეობდა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გამართულ ევროპის იუნიორთა პირველობაზე. ჩვენი ქვეყნის გოგონათა ნაკრებში სამი ქართველი სპორტსმენი გამოდიოდა — მსოფლიოს წლევანდელი ჩემპიონი რუსუდან ხოფერია, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონები ლია ბენდიანიშვილი და ანა დოლონაძე.

სინქრონულ ხტომებში უძლიერესის სახელი მოიპოვეს ანა დოლონაძე—ლია ბენდიანიშვილის წყვილმა.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ჩვენმა გოგონებმა ინდივიდუალურ ხტომებში. მათ კვარცხლბეკის სამივე საფეხური დაიკავეს. უძლიერესის სახელი დაისაკუთრა ანა დოლონაძემ, მეორე ადგილზე რუსუდან ხოფერია გავიდა, მესამეზე — ანა ბენდიანიშვილი.

ასეთი წარმატებისთვის ევროპის პირველობაში ქართველ ბატუტისტებს არასდროს მიუღწევიათ. გამარჯვებულები (მწვრთნელები თენგიზ ხუდოევი და ზაურ სულაშვილი), სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების" და სპორტულ ტანვარჯიშში უმაღლესი დაოსტატების რესპუბლიკური სკოლის აღზრდილები არიან.

უფრო დაწვრილებით „ლელოს" უახლოეს ნომერში გესაუბრებით.

**სურათებზე:** გოგონათა შორის სინქრონულ ხტომებში გამარჯვებულები ლია ბენდიანიშვილი და ანა დოლონაძე; ინდივიდუალური ასპარეზობის მეორე პრიზიორი რუსუდან ხოფერია.

ჯემალ კასრაძის ფოტოები.

ყურადღება! 30 ოქტომბერს „ლელომ" გამოაქვეყნა საქართველოს სპორტული ნაგებობების რუკა. 1 ნოემბრიდან გამოცხადდა სპორტული ნაგებობების კეთილმოწყობისა და ეფექტიანად გამოყენების რესპუბლიკური დათვალიერება. დრო არ ითმენს, ზამთარი კარსაა მომდგარი. სპორტული ბაზები მოსახლეობას რომ შეუფერხებლად მოემსახურონ, ამთავითვე უნდა მიიღონ გადამჭრელი ზომები სახალხო დეპუტატების ადგილობრივმა საბჭოებმა. ეს მათი მოვალეობაა!

### ჭადრაკში მსოფლიო პირველობაზე მაია ჩიბურდანიძესა და ნანა იოსელიანს შორის

## გუშინ...

თელავში გაიმართა მაია ჩიბურდანიძისა და ნანა იოსელიანის მსოფლიო პირველობის მატჩის მე-15 პარტია, თეთრი ფიგურებით თამაშობდა მაია ჩიბურდანიძე. პარტია გადაიდო 42-ე სვლაზე. პრესცენტრიდან გვაცნობეს, რომ პრეტენდენტს ერთგვარი უპირატესობა აქვს.

სსრ. სახ. წიგნის პალატა



თემქის დასახლების მე-11 მიკრორაიონის მეორე კვარტალს ამიერიდან სულ სხვა იერი მიეცა. იქაურობა დაამშვენა ახალმა სპორტულ-გამაჯანსაღებელმა კომპლექსმა.

იხ. მე-2 გვერდი.

# საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი

## უმაღლესი ლიგა

**31 ოქტომბერს** შედგა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის 27-ე ტურის მატჩები. ამ ტურში გაიმართა თამაშების სრული „კომპლექტი" — მატჩებში მონაწილეობა მიიღო უმაღლესი ლიგის ყველა თექვსმეტივე გუნდმა.

თბილისის „დინამომ" თავის მინდორზე მიიღო აწ უკვე I ლიგის გუნდი ალმა-ათის „კაირატი". ძნელი სავარაუდოა გამოიცნო თუ როგორ ითამაშებს გუნდი, რომელიც უკვე გამოეთხოვა უმაღლეს ლიგას, რა განწყობილებით გამოვლენ მინდორზე მისი ფეხბურთელები, ხელს ჩაიქნევენ უკვე გაცრუებულ იმედებზე, თუ სპორტული პრესტიჟისთვის შეეცდებიან დაამტკიცონ, რომ მათი პოტენციური შესაძლებლობანი მაინც ალემატება გუნდის წლევანდელ არასახარბიელო ხვედრს.

ეტყობა, „კაირატმა" მაინც პრესტიჟის შენარჩუნება ამჯობინა და თბილისის „დინამოს" სტადიონზე შეეცადა მთელი შესაძლებლობით ეთამაშა. მართალია, სანახაობრივი თვალსაზრისით მატჩი საკმაოდ მდარე გამოდგა, თამაშის პირველი ნახევრის მანძილზე ბურთი უმთავრესად მინდვრის შუაგულში ტრიალებდა, თუ არ ვცდებით, სახიფათო მომენტები თითქმის არც შექმნილა, გამონაკლისი მოხდა 21-ე წუთზე, როცა „კაირატის" ცენტრალურმა თავდამსხმელმა კლიუკომ ახლო მანძილიდან ძელს მოახვედრა ბურთი. დინამოელებმა, საკუთარ შესაძლებლობაზე სუსტად ითამაშეს, მცველები ასე თუ ისე, აუდიოდნენ თავიანთ მოვალეობას, მაგრამ ნახევარდაცვის რგოლი მხოლოდ შუა მინდორზე გამართული ბრძოლით იყო დაკავებული და რეალურ დახმარებას ვერ უქმნიდა თავდამსხმელებს, რომლებიც, თავიანთ მხრივ, სახიფათოს ვერაფერს უქმნიდნენ ჩეკმეზოვის კარს.

ერთი სიტყვით, ეს იყო უინტერესო ბრძოლა, მოწყენილობისაგან გვიხსნა 42-ე წუთმა, როცა მასპინძლებმა, როგორც იქნა, შეძლეს რეალური სახიფათო მომენტის შექმნა მეტოქის კართან, მარჯვენა ფრთაზე გათამაშებული კომბინაცია ძნელი მდგომარეობიდან ეფექტურად დაამთავრა ფანცულაიამ — 1:0.

ასევე უფერულად დაიწყო თამაში შესვენების შემდეგაც, მაგრამ გადიოდა დრო და თბილისელი ფეხბურთელები სულ უფრო მეტ აქტიურობას იჩენდნენ, ბოლო 15–20 წუთში კი მათ მთლიანად ხელთ აიღეს ინიციატივა და თავიანთი შესაძლებლობანიც გამოავლინეს, თუმცა, მანამდე, 65-ე წუთზე „კაირატის" ერთ-ერთი საპასუხო იერიში საპასუხო გოლით დაამთავრა კარაჩუნმა (მაგრამ, ჩვენი აზრით, ბურთის მიღების მომენტში ალმაათელი ფეხბურთელი თამაშგარე მდგომარეობაში იმყოფებოდა).

ანგარიში იყო 1:1, თამაშის დამთავრებას ბევრი აღარ აკლდა, ტრიბუნები აშკარად უკმაყოფილონი იყვნენ დინამოელთა თამაშით, მა-



მეორე გოლი 11-მეტრიანი დარტყმით ალმაათელთა კარში გოგიჩაიშვილმა გაიტანა.

ზურაბ გენგიურის ფოტო.

იხ. მე-4 გვ.

## ფეხბურთის მოყვარულთა საყურადღებოდ!

**დღეს** გაიმართება I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი, 43-ე ტურის მატჩები, ლანჩხუთის „გურია" მოსკოვში შეხვდება ადგილობრივ ცსკა-ს. ამ მატჩის შედეგს დიდი მნიშვნელობა აქვს ლიგის ლიდერთა გუნდებისთვის.

ცსკა—„გურიის" მატჩის რადიორეპორტაჟი დაიწყება 20 საათსა და 30 წუთიდან თბილისის დროით.





# არენაზეა ექვსი თვის ლაშა-გიორგი და ოთხი თვის დავითი

**ჭიდაობის** ენთუზიასტმა რობინზონ მუსხელაძემ ორი „მართვე“ — ექვსი თვის ლაშა-გიორგი მახარაძე და ოთხი თვის დავით ფანცულაია ხელში აყვანილი გამოიყვანა და ნახერხმოყრილ საჭიდაო არენის შუაგულში გაფენილ ხალიჩაზე ფრთხილად დააწვინა. პატარები ცნობისმოყვარედ იყურებოდნენ ირგვლივ და აინუნში არ მოსდიოდათ, რომ მათ საპატივცემულოდ საჭიდაოს უკრავდნენ.

ეს სიმბოლური რიტუალი შაბათს თემქის დასახლებაზე მდებარე ვახტანგ ბალავაძის სახელობის ქართულ საჭიდაო არენაზე გაიმართა.

აქ, ამ დღეს, საზეიმოდ გაიხსნა სპორტული კომპლექსი „ახალგაზრდული“, რომელსაც აქვს რეკონსტრუირებული საჭიდაო არენა, ჩოგბურთის კორტი, მინიფეხბურთისა და საბავშვო გასართობი მოედნები.

სპორტული კომპლექსი, რომელიც ლენინის რაიონის კომკავშირის რაიკომის ინიციატივით გაშენდა, საკავშირო კომკავშირის შექმნის 70-ე წლისთავს მიეძღვნა. კომპლექსის მოწყობა ქალაქის საბინაო მეურნეობის სამმართველოს თბილბინრემშენის ლენინის რაიონის სარემონტო სამშენებლო სამმართველომ (უფროსი თემურ თვალავაძე) ორ თვეში დაამთავრა, რაზეც 60 ათასი მანეთი დაიხარჯა.

დასახელებული ორგანიზაციის გარდა მშენებლობაში აქტიურად მონაწილეობდნენ ლენინის რაიონის საბინაო-საექსპლოატაციო ტრესტი (მმართველი რევაზ ბოჭორიშვილი) და მე-8 საბინაო საექსპლოატაციო უბანი (უფროსი ჯონი უროტაძე).

— სამწუხაროდ, ჩოგბურთის კორტები ჩვენთვის ფუფუნებაა და ყველა, თუნდაც ასეთი კორტის მოწყობაც მისასალმებელია. ეს კორტი, ცხადია, მხოლოდ გამაჯანსაღებელი მიზნით გამოდგება, მაგრამ დიდად შეუწყობს ხელს ახლოს მაცხოვრებელ ჩოგბურთელებსაც. ჩემი ყოფილი მოსწავლე საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ლეილა მესხი სავარჯიშოდ პატარა ადგილსაც კი იყენებდა — გვითხრა საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა გურამ თოხაძემ. საერთოდ, სასურველია, ამდაგვარი ორი ან სამი კორტის მოწყობა. ეს საშუალებას მოგვცემდა ჩოგბურთის სექციები გაგვეხსნა...

ამაზე დიდ საჩუქარს, თბილისობის დღეს, ალბათ ვერც ინატრებდნენ თემქელები.

**ჯემალ კახრაძე.**
**ავტორის ფოტოები.**





**ლახტის წრეში**

## როდემდე უნდა გვდევნიდნენ

**შარშან სპორტული თევზაობის მოყვარულთა ჯგუფმა სამტრედიიდან „ლელოს“ რედაქციაში გამოგზავნა წერილი, რომელიც ეხებოდა სპორტულ თევზჭერას, მის აბსურდულ შეზღუდვებს, ანკესით მოთევზავეთა განუკითხავ დევნას ეგერებისაგან. ის წერილი შარშან 15 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა. გაზეთის დადებითმა პოზიციამ დაგვაიმედა და ვირწმუნეთ, რომ გარდაქმნის პერიოდში ამ საკითხში არსებულ ბიუროკრატიზმსაც ბოლო მოეღებოდა, მაგრამ მდგომარეობა უცვლელია. 1 მაისიდან 1 სექტემბრამდე, როგორც წესი, კვლავ გვიკრძალავენ მდინარეებზე გუბისწყალზე, ცხენისწყალზე, ხევისწყალზე, ნოღელაზე, აბაშისწყალზე, ტეხურაზე და ხობისწყალზე ანკესით თევზაობას. როგორც აბაშის ზონის ეგერმა კუჭუხიძემ მდინარის პირას ჩატარებული დამტუქსველი ლექციის დროს განაცხადა„ 1 სექტემბრის შემდეგაც მთელი წლის განმავლობაში ყოველ დაჭერილ წვერაზე და ლოქოზე 10 მანეთით დაგაჯარიმებთო. ასე რომ, დიდი სიფრთხილე მართებს მომავალში პატარა ა. გამრეკლიძეს, რომლის შესახებაც „ლელო“ წლეულს 21 ივნისის ნომერში წერდა, ქუთაისელ მეთევზეთა შეჯიბრებაში გაიმარჯვაო. მამამისს ორი-სამი თვის ხელფასი არც ეყოფოდა ჯარიმებისთვის და გამარჯვების სიხარულიც ჩაუმწარდებოდა ნორჩ მეთევზეს ეგერი კუჭუხიძე ან მისთანანი რომ წასწყდომოდნენ.**

**უცილობელი ჭეშმარიტებაა, რომ ანკესით თევზაობას არ შეუძლია რაიმე ზიანი მიაყენოს მდინარის ფაუნას. ანკესით თევზაობის პრინციპი ანკესზე წამოგებული ხატყუარათი თევზის დაჭერაა. ქვირითობის პერიოდში კი თევზი არ იკვებება. ასე რომ, ანკესით მხოლოდ თევზის იმ სახეობის დაჭერა შეიძლება, რომელიც მოცემულ პერიოდში არ ქვირითობს. ეს აზრია გატარებული ჟურნალ „რიბოლოვის“ მრავალ სტატიაში, თევზაობაზე გამოცემულ ბროშურებში. ახლა გავიხსენოთ „სოვეტსკი სპორტის“ წლევანდელი 1 ივნისის ნომერიც, სადაც წერია:**

«...Продолжается двухмесячник по охране нерестующейся рыбы. Ловля ограничена: рыболов может пользоваться удочкой, двумя крючками или двумя удочками по одному крючку на каждой, притом с берега и в стороне от мест нереста, но само присутствие на водоеме рыболова весьма желательно — браконьеры не смогут творить свои черные дела и обитатели рек и озер спокойно дадут жизнь потомству».

**ამის შესახებ ჩვენ 1 წლის წინათ ვწერდით „ლელოში“ გამოქვეყნებულ სტატიაში.**

**ნუთუ საქართველოს მეთევზეთა გაჭირვება საკავშირო ბრესის განსახილველი უნდა გახდეს?! ჩვენ ამის კატეგორიული წინააღმდეგი ვართ!**

**ბრაკონიერთა წინააღმდეგ ბრძოლა კი კვლავ არაეფექტურია. უფრო მეტიც, თავად ეგერები ბრაკონიერებთან „საქმიან“ კონტაქტში შემჩნეულნიც არიან.**

**მაგრამ ბუნების დამცველ ამ ვაი მესვეურთაც ხომ აქვთ სამუშაო გეგმა, კვარტალური და წლიური ანგარიშები, სადაც ბრაკონიერობის წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებანი უნდა ასახონ. ამ ღონისძიებათა 99 პროცენტი მოყვარულ მეთევზეთა წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლით გამოირჩევა.**

**თუ შეამოწმებთ, ჩვენს რეგიონში, წლების განმავლობაში, მომწამვლელი და ასაფეთქებელი ნივთიერებებით თევზის განადგურების,ბადეებით და სხვა ბრაკონიერული საშუალებებით თევზაობის ერთეული შემთხვევებიც კი არ იქნება გამოვლენილი. აქედან გამომდინარე, ეგერები ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლას ვერ შეელევიან, აბა, სხვაგვარად როგორ უნდა გაამართლონ თავიანთი არსებობა.**

**როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე?!**

**იქნებ დაგვეხმაროთ!**

** დ. ჩომახიძე, მ. დოლიძე, ზ. ბებეშიძე, ტ. თევზაძე, თ. მელქაძე, თ. ერისთავი, ზ. პაპავა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV ახალგაზრდული რესპუბლიკური თამაშები

## ფავორიტთა უპირატესობით

ძიუდოისტთა შეჯიბრება IV ახალგაზრდული თამაშების პროგრამით გორში ჩატარდა. მასპინძლების წარმატება ეჭვს არ იწვევდა და გუნდური პირველობაც საკმაოდ დიდი უპირატესობით მათვე დარჩათ — 236,5 ქულა, მომდევნო ორი ადგილი ქუთაისის (169,5) და აფხაზეთის წარმომადგენლებს (127,5) ხვდათ. თბილისელი ძიუდოისტები IV ადგილზე გავიდნენ (111), ვანელები — მეხუთეზე (69,5), აჭარის გუნდი კი მეექვსე იყო (54). შეჯიბრებაში სულ 24 ნაკრები კოლექტივი მონაწილეობდა.

**პირადი ჩათვლა: 60 კგ.** 1. მ. ავაზნელი (გორი), 2. ი. მახათაძე (ლაგოდეხი), 3. თ. კევლიშვილი და ლ. ქიაბერაშვილი (ორივე — საგარეჯო).

**65 კგ.** 1. ე. არუთინოვი (თელავი), 2. მ. ბერიძე (აჭარა), 3. რ. ჩოხელი (მცხეთა) და ე. ტოტიკაშვილი (გარდაბანი).

**71 კგ.** 1. ბ. გეორგაშვილი (გორი), 2. ი. ჯიმშელეიშვილი (ქუთაისი), 3. ხ. ბუძიშვილი (მარნეული) და მ. ხაჩიშვილი (გურჯაანი).

**78 კგ.** 1. ბ. კოკოევი (თბილისი), 2. მ. მაზმიშვილი (გორი), 3. გ. კოლუაშვილი (ქუთაისი) და დ. კვაჭრელიშვილი (თბილისი).

**86 კგ.** 1. ნ. ჯალაბაძე (გორი), 2. ტ. პაჭკორია (აფხაზეთი), 3. გ. პილიხოძე (მახარაძე) და კ. სვანიძე (ქუთაისი).

**95 კგ.** 1. მ. დარჩია (ქუთაისი), 2. დ. დონღუზაშვილი, 3. ო. ონიანი (ორივე — გორი) და მ. ქადაგაძე (თბილისი).

**მძიმე.** 1. ლ. ჩოჩიშვილი (გორი), 2. მ. კევლიშვილი (თბილისი), 3. ა. კვირკველია (ტყიბული) და კ. გურეშიძე (ზესტაფონი).

# ტრადიციული ტურნირის ტრადიციული პრობლემები

**ახმეტაში** უკვე შვიდი წელია ტარდება ფარნაოზ ჩიკვილაძის სახელობის ჭაბუკთა საკავშირო ტურნირი ძიუდოში და ამ ხნის განმავლობაში ტურნირის მონაწილეთა (და არა მარტო მათი) სასტუმროთი უზრუნველყოფის პრობლემა გადაუჭრელია. მაგრამ, ეტყობა, ამაზე ფიქრით თავს მაინცდამაინც არავინ იწუხებს (1985 წელს ახმეტაში დაიწყო მრავალადგილიანი სასტუმროს მშენებლობა, მაგრამ მხოლოდ საძირკველი ჩაყარეს და მშენებლობა დააკონსერვეს). სწორედ ამიტომ და კიდევ სხვა მიზეზთა გამო წელს ტურნირის ჩატარება ერთხანს კითხვის ნიშნის ქვეშ იყო და თუ იგი მაინც მოეწყო, ეს, პირველ რიგში, ჭიდაობის სპეციალიზებული სკოლისა და ახმეტის პროფკავშირთა სპორტული საზოგადოების თანამშრომლების დამსახურებაა.

ჭიდაობის სპორტსკოლა ახმეტის პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების სპორტკომპლექსში ფუნქციონირებს. სწორედ აქ ჩატარდა ალნიშნული ტურნირი. ხელთა მაქვს კომპლექსის დირექტორის იური ლუზარაულის მოხსენებითი ბარათის ასლი, რომელიც მას ქალაქის ალმასკომში წარუდგენია გასული წლის დეკემბერს. ბარათში 14 პუნქტადაა ჩამოთვლილი ხარვეზები, რომელიც ჭიდაობის სკოლის შენობას აქვს. ლუზარაულმა პირდაპირ განაცხადა: მიმღებმა კომისიამ შესცდა, დაუმთავრებელი ობიექტი ჩაიბარა და ახლა ყველაფერი ჩვენი თავში სახლელი გახდაო. არადა, ყველაფერს დაუყოვნებლივ უნდა მიხედვა, — ზამთარი კარსაა მომდგარიო...

რაც შეეხება ტურნირს, იგი მრავალი საინტერესო ორთაბრძოლით აღინიშნა და უამრავ მაყურებელს მოსაწყენად ნამდვილად არ ეცალა. სამი დღის განმავლობაში ტატამზე 24 გუნდის 333 სპორტსმენი გამოვიდა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენს სახელოვან ძიუდოისტებს საიმედო ცვლა ეზრდებათ.

ტურნირის მთავარი პრიზი — ფარნაოზ ჩიკვილაძის სახელობის თასი ახმეტის პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების სპორტსკოლის გუნდმა მოიპოვა. მეორე ადგილზე თბილისის ნაკრები გავიდა, მესამეზე — ახმეტის განათლების სპორტსკოლა. წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: შ. ბექაური (აბსოლუტური წონა, თბილისი), რ. უძილაური (მძიმე წონა, ახმეტის ჭიდაობის სკოლა), კ. გუჯეჯიანი (90 კგ მარნეული), ი. გამხიტაშვილი (83, კასპი), ი. უზნაძე (75, თბილისი), ფ. ფისინა (68, კრასნოვოდსკი, თურქმენეთი), მ. გაგუნაშვილი (62, ახმეტის ჭიდაობის სკოლა), მ. აბრამიშვილი (57, ახმეტის ჭიდაობის სკოლა), ვ. კრუტოგოლოვი (53, ჩრ. ოსეთი, „დინამო“), თ. მჭედლიშვილი (49, ახმეტის ჭიდაობის სკოლა), კ. ჯაბიშვილი (45, ახმეტის განათლების სპორტსკოლა), ვ. მიგოვიჩი (41, ხარკოვი).

**ალექსანდრე ბაბოშვილი.**
ახმეტა.

**შეაყვარეთ ბავშვებს მთები**

# ბიჭუნები იპყრობენ დოლომისს

**ქუთაისის ნორჩ ტურისტთა საქალაქო სადგურმა მოაწყო ლაშქრობა საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს მხარეში — რაჭაში. მასში 30-ე, 31-ე და 32-ე საშუალო სკოლების მოსწავლეები მონაწილეობდნენ.**

**ლაშქრობის ხელმძღვანელებმა ჯ. ხირბილაძემ, ი. მუშკუდიანმა, გ. გოლეთიანმა და მ. ჯიშიაშვილმა პროგრამაში მწვერვალ დოლომისზე ასვლაც შეიტანეს.**

**გამოცდილი ალპინისტები ალბათ დაგვეთანხმებიან, რომ ეს მწვერვალი VI-VII-VIII კლასის მოსწავლეთათვის საკმაოდ ძნელი დასალაშქრია. მიუხედავად ამისა, ნორჩებმა მიზანს მიაღწიეს.**

რაჭის მთებში ლაშქრობა ონისა და სოფელ გლოლის საშუალო სკოლის მოსწავლეებთან ნორჩ ქუთაისელ ტურისტთა დაახლოება-დამეგობრებასაც ითვალისწინებდა. ასეც მოხდა და გლოლის მიდამოებში მოსწავლეები ლაშქრობისათვის მზადებას ერთად შეუდგნენ. ულამაზეს ადგილას დასცეს კარვები, გაინაწილეს საჭურველი და გამოცდილი ინსტრუქტორ-მეთოდისტების დახმარებით მთაში სიარულის ტექნიკის ანბანს დაეუფლნენ. ამასობაში დოლომისზე ასვლის დღეც დადგა.

ნორჩი ალპინისტები დილაუთენია გაუდგნენ გზას. როცა მზეც ამოიწვერა, მათ არნახული სილამაზე იხილეს. ახალბედა მოგზაურები პირველად ხედავდნენ ასე ახლოს ფასის მთას, სადაც სათავეს იღებს დამდინარე რიონი, შხარის მასივს, სხვა სახელიან თუ უსახელო მწვერვალებს. შემდეგ დოლომისიც გამოჩნდა.

მოიერიშე ჯგუფის წევრებმა თ. დოლიძემ, ც. გიორგაძემ, ლ. ჭყონიამ, ლ. მანდარიამ, ბ. ახმედინოვმა, ზ. ტორაძემ შეუფერხებლად დაძლიეს ციცაბო აღმართი და მწვერვალზეც ფეხი შედგეს.

ბიჭების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. რატომაც არა, ისინი ხომ პირველად ჯვიდნენ მწვერვალზე, საიდანაც ზღაპრული სანახაობა გადაეშალათ. მათ იქ ნიშიც მონახეს და წინა ამსვლელების დატოვებული წერილიც ახლით შეცვალეს. ყველაფერი ისე გააკეთეს, როგორც ეს გამოცდილ ალპინისტებს ჩვევიათ.

გამარჯვებულ ბიჭებს ბანაკში, სადაც მშვიდობიანად დაეშვნენ, მეგობრობის კოცონი და დაუვიწყარი საღამო ელოდათ.

ასე დასრულდა შოვის მთებში ეს ოთხდღიანი ლაშქრობა, რომელმაც ნორჩ ქუთაისელ ტურისტებს პირველი დიდი გამარჯვება მოუტანა. ახლა ისინი უკვე ალპინისტობაზე და დაუპყრობელ უსახელო მწვერვალებზე ოცნებობენ.

ამ კეთილ საქმეში მათ დიდი დახმარება გაუწია განათლების განყოფილებამ (რომელმაც დააფინანსა ეს ექსპედიცია) და ნორჩ ტურისტთა სადგურმა.

**თამაზ კოლხიდელი.**
(„ლელოს“ საკ. კორ.).

# ოლიმპიური შემოდგომის თექვსმეტი გაელვება


სეული. 17 სექტემბერი — 2 ოქტომბერი, 1988 წ.




**ერთი** რამ აშკარად შეიმჩნევა — ყველა სპორტის სახეობა, რომელსაც კარს ვუხსნით, თავიდანვე ისე ლაღად ინერგება, გეგონება დიდი ხნის გაშინაურებული ვიყავით მასთან ან ოდესღაც დავიწყებული გავიხსენეთ. ასე იყო იმთავითვე. ვამბობ ამას და ერთი აზრი მებადება — ახალი სპორტის სახეობებთან გაცნობისთანავე გაშინაურება და მასთან „შენობით ლაპარაკი" შემთხვევითი არ არის. საუკუნეებგამოვლილი ქართველი ერის სპორტული, შესაძლოა, უფრო მართებული იქნება ვთქვათ, რაინდული ბუნებაა ამის საფუძველთა საფუძველი და, კიდევ ქართული ენერგია, ასე იოლად რომ იმორჩილებს ჩვენთვის მანამდე უცხო ნებისმიერ სპორტის სახეობას. ბევრის მეხსიერებას კარგად შემორჩა ძიუდოს პირველი ნაბიჯები ჩვე-


ლეილა მესხი.

ნში. გვეამაყება დღეს ასე გაფაციცებით რომ ადევნებენ თვალყურს ჩვენს ფალავნებს ჭიდაობის ამ მართლაც საოცარი სახეობის მამამთავრები — იაპონელი სპეციალისტები. შეუიარაღებელი თვალით რომ ყველაფერს ვეღარ ამჩნევენ, ვიდეოკამერები აქვთ მომარჯვებული და ახლა, მასწავლებლები, თუ შეიძლება ასე ითქვას, მოსწავლეებისგან, ქართველი ფალავნებისგან სწავლობენ ახალ ფანდებს. მაგრამ საქმე რომ მარტო ფანდები არ არის? ქართული ტემპერამენტი და ქართული ენერგია როგორღა გადაიღონ, თუმცა იაპონელებმა იმდენი რამ შექმნეს (მათ შორის სპორტული გენეტიკის ინსტიტუტიც), „შესაძლოა" შორს არც ამ საიდუმლოების ამოხსნაა.

სეულში სპორტის 14 სახეობის წარმომადგენლები გამოდიოდნენ საქართველოდან. თავისთავად ესეც ბევრის მთქმელი და მეტყველია. ზუსტად ვერ გეტყვით რაოდენობას, მაგრამ იყვნენ ოლიმპიური თამაშების მონაწილე ქვეყნები, რომლებმაც მხოლოდ ერთ ან ორ სახეობაში გამოიყვანეს წარმომადგენლები და თავს ბედნიერად თვლიდნენ. სეულში სპორტის 14 სახეობით ქართული სპორტის წარდგინება უდავოდ საგულისხმოა და, ისევე როგორც ოქროს ჯილდოებისა და საერთო მედლების რაოდენობით, ჩვენს რესპუბლიკას მსოფლიოში მოწინავე სპორტული სახელმწიფოების გვერდით აყენებს.

ოლიმპიური თამაშების პროგრამა სისტემატურად იცვლება. სეულში შედგა მაგიდის ჩოგბურთის, სინქრონული ცურვის და ჩოგბურთის დებიუტი. მომავალში, ბარსელონას ოლიმპიადაში 1992 წელს კვლავ არის გათვალისწინებული პროგრამაში შეიტანონ ახალი სახეობები.

როგორც იცით, სეულში ჩოგბურთის დებიუტს კიდევ ერთი სიახლე დაერთო — მოყვარულებთან ერთად პროფესიონალებსაც მისცეს თამაშებში გამოსვლის უფლება. ამან, ცხადია, ძალთა თანაფარდობა დაარღვია, მაგრამ მაინც ყველა მიესალმა სიახლეს. ის კი არა, სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენლებმაც მოითხოვეს პროფესიონალების ოლიმპიურ სარბიელზე დაშვება. პირველებმა კი ხმა კალათბურთელებმა აიმაღლეს. თავისი აზრი გამოთქვა, აგრეთვე, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელმა, ამჟამად იტალიის „ნაპოლის" მოთამაშემ დიეგო მარადონამ. ოლიმპიადის შემდეგ მარადონამ ჟურნალისტებს განუცხადა: „ბევრმა სპორტსმენმა, რომელიც მოყვარული არ არის, სეულში იასპარეზა, მე კი არ შემიძლია თამაშებში მონაწილეობა მხოლოდ იმიტომ, რომ გამოვედი მსოფლიო ჩემპიონატში. იმედი მაქვს წესები შეიცვლება და უფლება მომეცემა ვითამაშო ბარსელონაში 1992 წელს". ამასობაში სოკ-მა სულ სხვაგვარი გადაწყვეტილება გამოიტანა — 1992 წლის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას მიიღებენ ის ფეხბურთელები, რომლებიც დაბადებული არიან 1969 წლის 1 იანვრის შემდეგ. მნიშვნელობა აღარ აქვს იმას, თამაშობდნენ თუ არა ეს ფეხბურთელები მსოფლიო ჩემპიონატებში. სხვა რა გზა იყო — ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ.

**ჩოგბურთი** — სეულის ოლიმპიადის დებიუტანტი! ერთი იმ თექვსმეტთაგანი, რომლებიც საქართველოდან სეულში ასპარეზობდნენ, იყო ლეილა მესხი — სსრ


ასპარეზობს ხრისტინა ფალასინიდი.

კავშირის ოლიმპიური ნაკრები გუნდის წევრი. საბჭოთა სპორტსმენები თამაშის კლასით ჯერ კიდევ ჩამორჩებიან პროფესიონალ ჩოგბურთელებს და ამიტომაც არც არავინ მოელოდა მათგან ბრწყინვალე შედეგებს. მაშ რა იყო მიზეზი, რატომ გააკეთეს გამონაკლისი ჩოგბურთელების მიმართ, სეულში ხომ ძირითადად მედლის მოპოვების კანდიდატები წაიყვანეს? — იკითხავს მკითხველი. ამ გამონაკლისს აქვს გამართლება. მთავარი მაინც ოლიმპიადის, როგორც საბჭოთა ჩოგბურთელების კლასის ამაღლებისა და გამოცდილების მიღების საუკეთესო შესაძლებლობის გამოყენება იყო. საბჭოთა ჩოგბურთელები, ისევე, როგორც ბევრი სხვა ქვეყნის წარმომადგენლები, პირდაპირ შეჯიბრებებიდან ჩავიდნენ სეულში და იქ ასპარეზობის დამთავრების შემდეგ ასევე პირდაპირ გაემგზავრნენ სხვადასხვა ასპარეზობებზე.

ჩოგბურთი ერთ-ერთი ხელსაყრელი სპორტის სახეობაა ფინანსური თვალსაზრისით და მას სოლიდური შემოსავალი მოაქვს საკავშირო სპორტსახკომისთვის, რომელიც გადასულია სრულ სამეურნეო ანგარიშზე.

ლეილა მესხი ერთ-ერთი პირველი იყო, რომელიც ოლიმპიურ ტურნირში ჩაება. პირველსავე შეხვედრაში იზეიმა გამარჯვება — ჩეხოსლოვაკიის გუნდის წევრს რ. რაიხლოვს სძლია ორ პარტიაში ერთნაირი ანგარიშით 7:5.

21 სექტემბერს მთავარ პრესცენტრში შევიარეთ. საბჭოთა ჟურნალისტები იმ ტელევიზორს მისხდომოდნენ, სადაც ჩოგბურთელთა პაექრობას გადმოსცემდნენ (ცალცალკე არხით მთლიანად აჩვენებდნენ სპორტის ცალკეულ სახეობებს). მიმიხმეს. ლეილა მესხის თამაშს ადევნებდნენ თვალყურს.

— ხედავ როგორ გულშემატკივრობენ შენს თანამემამულეს? მაყურებლის ნამდვილი კერპია — ლეილა მესხზე მეუბნება „იზვესტიის" სპეციალური კორესპონდენტი ვ. ნადეინი. დაუჯერებელი ამბავი ხდებოდა ტრიბუნებზე. ლეილა განა მარტო თამაშით ხიბლავდა მაყურებელს. მაგრამ... შემდეგ ტურში მას მსოფლიოს №1 პროფესიონალი ჩოგბურთელი, უიმბლდონის ჩემპიონი გფრ-ის წარმომადგენელი შტეფი გრაფი შეხვდა. გრაფის გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა... ლეილამ ისევე, როგორც ყველა საბჭოთა ჩოგბურთელმა, სეულში საბოლოოდ მხოლოდ მოკრძალებული, მაგრამ პერსპექტიული დებიუტანტის სახელი დატოვა.

**საბჭოთა** სინქრონული ცურვის ოსტატებიც ძირითადად ოლიმპიურ მოთხოვნებში გამოსაცდელად ჩავიდნენ სეულში. ამ სახეობაში ჯერჯერობით კანონმდებლები არიან აშშ-ის, იაპონიის, კანადის, საფრანგეთის წარმომადგენლები. საბჭოთა ნაკრების წევრი, თბილისელი ხრისტინა ფალასინიდი ერთ-ერთი საუკეთესო ოსტატია და არა მარტო საბჭოთა კავშირში. ხრისტინას არაერთი წარმატება მოუპოვებია საკავშირო თუ საერთაშორისო სარბიელზე. იგი თავდადებით ემზადებოდა წყვილთა ასპარეზობაში მონაწილეობისთვის და აი, ოლიმპიადის დაწყებამდე ერთი თვით ადრე გამოუცხადეს, რომ იგი ინდივიდუალური პროგრამით გამოვიდოდა სარბიელზე. უკეთ მომზადებისთვის აღარც დრო იყო საკმარისი. ხრისტინამ მაინც შესანიშნავი შთაბეჭდილება მოახდინა სპეციალისტებზე, იგი საბჭოთა სპორტსმენებიდან ამ პროგრამაში მაინც საუკეთესო იყო — მეშვიდე ადგილი!

ის, რომ ფალასინიდი, რომელიც პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების წარმომადგენელია, ფინალში გავიდა, უკვე თავისთავად მეტყველებს ამ სპორტსმენის [illegible] რებაზე.

...ხალხის კულტურის, თუ ვგე-ბავთ ცხოვრების დონე ეროვნული დღესასწაულებითაც განისაზღვრება — არა რაოდენობით, არამედ შინაარსით. კორეელები ორჯერ ზეიმობენ ახალ წელს—საყოველთაოდ აღიარებულს (ჯერ ოფიციალურს) — 1-3 იანვარს და შემდეგ სახალხოს (აღმოსავლურს) მთვარის კალენდრით (1988 წელს ეს იყო 18 თებერვალი). ზეიმობენ „დამოუკიდებლობის დღეს", „ბავშვის დღეს", „ხის დარგვის დღეს", „ბუდას დაბადების დღეს", „ხსოვნის დღეს", „კონსტიტუციის დღეს", „განთავისუფლების დღეს", „მოსავლის დღესასწაულს", „შეიარაღებული ძალების დღეს", „კორეის ეროვნულობის დღეს", „კორეული დამწერლობის დღეს", „ქრისტეს დაბადების დღეს".

როგორც ხედავთ, ბევრი დღესასწაული ნაცნობია, მაგრამ ზოგის გამორჩეულიც, საყურადღებო...

რადგან ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რომლის გათვალისწინება აუცილებლად მოეთხოვება ოლიმპიური თამაშების მასპინძელ ქვეყანას რელიგიაა, რამდენიმე სიტყვას ამასთან დაკავშირებითაც ვიტყვით. ოლიმპიელთა შორის, ცხადია, ყოველთვის არიან სხვადასხვა სარწმუნოების წარმომადგენლები. მათთვის აუცილებელია რიტუალების აღსრულება, რაც შესაბამის პირობებს მოითხოვს. ამასთან პირობების გამართვისას მორწმუნის ღირსება არ უნდა შეილახოს. ეს მეტად რთული საკითხია, თუმცა, კორეელებმა ამ ამოცანასაც ჩინებულად გაართვეს თავი. საქმე ალბათ იმანაც გააადვილა, რომ თვით ამ ქვეყანაში რამდენიმე სარწმუნოებაა აღიარებული. ყველაზე უფრო გავრცელებულია ბუდიზმი და ქრისტიანობა. ბევრგან წირვა ინგლისურ ენაზეა.

**ერთ** დღეს ოლიმპიური პარკის შესასვლელთან უამრავ სტუმარს მოეყარა თავი. ისინი, ვინც სპორტულ შეჯიბრებებზე მიიჩქაროდნენ, იქ უცნაური სანახაობის გამო შეყოვნდნენ. ვისაც ფოტოაპარატი თან ჰქონდა, ხალხში გზას იკაფავდა, რომ ხედვის მოსახერხებელი კუთხე შეერჩია. ასეთებს შორის ჩვენც ვიყავით. წინ წავდექით და რას ვხედავთ, კორეელი მოქალაქე ოლიმპიური ემბლემის წინ დაჩოქილა და ლოცულობს, რიტუალს



ასრულებს. დანამდვილებით ვერ გეტყვით რას ნიშნავდა ყოველივე ეს, მაგრამ იმ წუთში ის კი გავიფიქრე — რომ არიან ქვეყანაზე ადამიანები, რომლებიც თაყვანს სცემენ ყოველივე წმინდას. ასეთია ოლიმპიური თამაშებიც, ყოველ შემთხვევაში, უნდა იყოს, რადგან თვით ოლიმპიურ მოძრაობას სიწმინდის პრინციპები უდევს ლიბოში.

**თენგიზ ბაჩეჩილაძე,**
**„ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი.**

სეული — თბილისი.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო" №№ 198, 199, 200, 201, 203, 204, 207, 209.

# პროგრამაში — ეროვნული თამაში

**დიდი ჯიხაიშის** ნიკო ნიკოლაძის სახელობის საბაზო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში მასწავლებლად 36 წლის მუშაობით დაგროვილი გამოცდილებით საჭიროდ ვთვლი, რომ უნდა დაიხვეწოს ფიზიკური აღზრდის პროგრამა, განთავისუფლდეს იგი სტანდარტულობისა და საკონტროლო ნორმათა მოთხოვნებისაგან. თანამედროვე ეტაპზე აუცილებელია სკოლებში, საშუალო და სპეციალურ უმაღლეს სასწავლებლებში ფიზკულტურის გაკვეთილის ყოვლისმომცველი ჩატარება, რაზეც ითქვა XIX საკავშირო პარტიულ კონფერენციაზე. ამიტომ მხარს ვუჭერ იმათ წინადადებას, ვინც მოითხოვს, რომ სასკოლო პროგრამებში შევიდეს ეროვნული ხალხური და სპორტული თამაშები, რადგან თამაშის დროს ორგანიზმში ილვიძებს ცხოვრებისეული ჩვევები, მოზარდი რწმუნდება თავის ძალაში — თამაში ხომ დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღებას მოითხოვს.

ამასთან თამაშები გაკვეთილს ხდის უფრო საინტერესოს, ემოციურს, მიმზიდველს და ხალისიანს. ამ მხრივ ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ შევჩერდები მხოლოდ ერთ ფაქტორზე. როცა გაკვეთილში თამაში ჩამირთავს, ხშირად „ავადმყოფ" მოსწავლესაც აღძვრია თამაშის სურვილი. თამაში საჭიროა სპორტსმენთა მრავალმხრივი განვითარებისათვისაც. ამიტომ მას სპორტულ ჯგუფებშიც უნდა ვიყენებდეთ.

საჭიროა აგრეთვე გამოიცეს ეროვნული თამაშების კრებული, რომლითაც გავეცნობით ამა თუ იმ თამაშის ისტორიას, შინაარსსა და წესებს.

**ი. ლეკვეიშვილი,**
**რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, „წარჩინებული ფიზკულტურელი".**

# მოსწავლეები „ტბათანაზე"

**ახმეტის** განათლების განყოფილებამ ბავშვთა კომპლექსურ სპორტსკოლასთან ერთად მოაწყო ფიზაღზრდის მასწავლებელთა გასვლითი ორდღიანი მეთოდური სემინარი „ტბათანაზე". სემინარის დღის წესრიგში იყო ტურისტული ლაშქრობა და მისი მოწყობის ორგანიზაცია. თეორიულ მეცადინეობას თან ახლდა პრაქტიკაც, — მოეწყო შეჯიბრებები კარვის გაშლაში, ცეცხლის დანთებაში, ტურისტული მარშრუტის შედგენაში. სემინარის მონაწილეებმა დალაშქრეს „საქისტოს" მთა, რომელზეც პირველმა შედგა ფეხი საკობიანოს სკოლის მასწავლებელმა გია ხუცურაულმა და დუმასტურელმა გურამ ხადილაშვილმა. 100 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა ფიჩხოვანელმა გ. ბიაზარაშვილმა, ჯილდოობაში ყველას აჯობა ახმეტის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ გ. კვიცაშვილმა. თევზჭერაში პირველი იყო ნიკო ფარეულიძე (დუისის სკოლა). ღონისძიებამ მონაწილეთა საერთო მოწონება დაიმსახურა და ასეთი ლაშქრობა-სემინარის სისტემატურად ჩატარების სურვილი გამოითქვა.

**ბ. ალექსიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი

## უმაღლესი ლიგა

(დასასრული)

ტჩის ფინალური ნაწილი კი ჩვენმა გუნდმა აშკარად კარგად, სწრაფი, გაბედული იერიშებით ჩაატარა. ამ პერიოდში მას ცხადი უპირატესობა ჰქონდა. ტიმოფეევმა 77-ე წუთზე აკრძალული ხერხით შეაჩერა ფანცულაია, წესის ეს დარღვევა „კაირატის“ საჯარიმო მოედანზე მოხდა, მსაჯმა 11-მეტრიანი დანიშნა და გოგიჩაიშვილმაც ზუსტად გაგზავნა ბურთი მიზანში — 2:1.

თბილისელებს არც დარჩენილ დროში შეუწყვეტიათ იერიშები, ამ პერიოდში მონდომებით მოქმედებდა გოგიჩაიშვილი, 85-ე წუთზე იგი სწრაფად გავიდა გარღვევაზე, ცენტრში მიაწოდა და აქ თევზაძემ ივანოვთან ბრძოლაში წამით იმარჯვა — 3:1.

მეტოქეებმა ასეთი შემადგენლობებით ჩაატარეს მატჩი: **„დინამო“** — გაბელია, კეტაშვილი, ცხადაძე, ჭედია, არზიანი, რევიშვილი, სვანაძე, ქეცბაია (გურული, 73), ცაავა (თევზაძე, 64), ფანცულაია, გოგიჩაიშვილი; **„კაირატი“** — ჩეკმეზოვი, ტიმოფეევი, ივანოვი, იაროვენკო, პასკო, კარაჩუნი, ოგაი, სალიმოვი, კლიუკო (დეხანტი, 83), მასუდოვი, ქიდკოვი (ლედოვსკიხი, 83). მსაჯი ტ. ბეზუბიაკი (ლენინგრადი).

თბილისის „დინამომ“, რომელიც აუტსაიდერთა რიგებში იმყოფებოდა, წარმატებით გაართვა თავი წლევანდელ სიძნელეებს, ძლიერად ჩაატარა ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპი და შეასრულა ის მიზანი, რომელიც მის, წინაშე იყო დასახული.

* * *

ახლა, როცა 51-ე საკავშირო ჩემპიონატის დასასრულამდე მხოლოდ 3 ტური დარჩა, ჯერ კიდევ ბუნდოვანია მდგომარეობა ლიდერთა ჯგუფში, სადაც ჩემპიონობის მოპოვების რეალური შესაძლებლობა 4 გუნდს აქვს. მეტოქეებს 3 ქულით დასცილდა დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“, რომელმაც განვლილ ტურში სტუმრად 2 ქულა აიღო ლენინგრადში. ამ მოგებით დნეპროპეტროვსკელმა ფეხბურთელებმა შეინარჩუნეს ოქროს მედლების მოპოვების საუკეთესო შესაძლებლობა, მაგრამ გუნდს წინ ახალი სიძნელეები ელის, კერძოდ, მან სტუმრად უნდა ითამაშოს მოსკოვის „ლოკომოტივთან“. ეს ჩემპიონობის პირველი პრეტენდენტისთვის ძალზე ძნელი გამოცდა იქნება, ვინაიდან შემდგომში, 14 და 19 ნოემბერს, „დნეპრი“ შინ თამაშობს მინსკის „დინამოსა“ და „ჟალგირისთან“. ოქროს მედლების ბედი თვით დნეპროპეტროვსკელთა ხელთაა, მათ ერთი მატჩის წაგების უფლებაც აქვთ და მაინც მეტოქეებზე წინ იქნებიან, ამიტომაც დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“, მიუხედავად იმისა, რომ სეზონის დასაწყისში მან დიდი დანაკლისი განიცადა გუნდიდან ო. პროტასოვისა და გ. ლიტოვჩენკოს წასვლით, მაინც ჩემპიონობის მოპოვების უპირველესი კანდიდატია.



მესამე გოლი „კაირატის“ კარში.

ზურაბ გენგიურის ფოტო.

„დნეპრის“ უახლოესი მდევრები არიან მოსკოვის „სპარტაკი“ და კიევის „დინამო“. საყურადღებოა აღინიშნოს, რომ განვლილ ტურში სპარტაკელებმაც და კიეველებმაც გამარჯვებები მოიპოვეს სტუმრად, ამასობაში კი მოსკოვის ტორპედოელებმა ბაქოში ქულა დაკარგეს „ნეფთჩისთან“, რითაც მნიშვნელოვნად გაიუარესეს არა მარტო ჩემპიონობის მოპოვების, არამედ საპრიზო სამეულში მოხვედრის შესაძლებლობა. 3 ნოემბერს ტორპედოელები თბილისში თამაშობენ „დინამოსთან“, შემდეგ შინ ხვდებიან მოსკოვის „დინამოს“ და, ბოლოს, თავიანთ მინდორზე იღებენ „არარატს“.

მეტად რთული მატჩი ელის „სპარტაკს“ ვილნიუსში, შემდეგ კი შინ — „ლოკომოტივთან“ და „ზენიტთან“. დარჩენილ ტურებში კიევის დინამოელები შინ ხვდებიან მოსკოვისა და თბილისის დინამოელებს და ბოლო ტურში ბაქოში თამაშობენ „ნეფთჩისთან“.

ლიდერთა ჯგუფში მყოფი გუნდების ახლანდელი მდგომარეობა და დარჩენილი თამაშების კალენდარი ფრიად რთულ სიტუაციას ქმნის, ამიტომაც პროგნოზისტებისთვისაც იოლი არ იქნება ჩემპიონატის საბოლოო შედეგების ამოცნობა, მაგრამ მაინც შეიძლება ითქვას, რომ დნეპროპეტროვსკელი ფეხბურთელები, ალბათ, ხელიდან არ გაუშვებენ ოქროს მედლების მეორედ მოპოვების ასეთ შესაძლებლობას.

უკვე დადგინდა, რომ მომავალი სეზონისთვის უმაღლეს ლიგას გამოემშვიდობა ალმა-ათის „კაირატი“. გარდა ამისა, განვლილ ტურში პრაქტიკულად გაირკვა ბაქოს „ნეფთჩის“ ბედიც. ბაქოელებმა დარჩენილ 3 ტურში ქულათა მაქსიმუმი უნდა აიღონ საიმისოდ, რომ მხოლოდ ერთ გუნდს — „მინსკის „დინამოს“ გადაუსწრონ, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუ მინსკელები დარჩენილ 3 მატჩს წააგებენ შინ „ჩერნომორეცთან“, სტუმრად „დნეპრთან“ და ასევე სტუმრად — „შახტიორთან“. რა თქმა უნდა, ვითარება აქაც გაურკვეველია, ბაქოელ ფეხბურთელებს შეუძლიათ წარმატებით ითამაშონ ალმა-ათაში და შემდეგ ქულათა მაქსიმუმი აიღონ შინ „მეტალისტთან“ და კიევის „დინამოსთან“, მაგრამ, ვფიქრობთ, ეს უფრო თეორიული შანსია, ვიდრე პრაქტიკული.

„ლელოს“ ფეხბურთის განყოფილება.

### გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი, მდგომარეობა 2 ნოემბრისთვის

| | | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) | 27 | 15 | 10 | 2 | 41-19 | 40 |
| 2. | „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 27 | 14 | 9 | 4 | 38-22 | 37 |
| 3. | „დინამო“ (კიევი) | 27 | 14 | 9 | 4 | 38-17 | 37 |
| 4. | „ტორპედო“ (მოსკოვი) | 27 | 14 | 8 | 5 | 34-22 | 36 |
| 5. | „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) | 27 | 13 | 7 | 7 | 35-27 | 33 |
| 6. | „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 26 | 9 | 10 | 7 | 31-25 | 28 |
| 7. | „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 27 | 10 | 7 | 10 | 32-32 | 27 |
| 8. | „შახტიორი“ (დონეცკი) | 27 | 8 | 9 | 10 | 25-26 | 25 |
| 9. | „არარატი“ (ერევანი) | 27 | 8 | 9 | 10 | 19-25 | 25 |
| 10. | „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 27 | 9 | 6 | 12 | 23-32 | 24 |
| 11. | „დინამო“ (თბილისი) | 27 | 9 | 5 | 13 | 28-33 | 23 |
| 12. | „დინამო“ (მოსკოვი) | 26 | 8 | 7 | 11 | 24-29 | 23 |
| 13. | „მეტალისტი“ (ხარკოვი) | 27 | 7 | 9 | 11 | 26-33 | 23 |
| 14. | „დინამო“ (მინსკი) | 27 | 5 | 11 | 11 | 23-30 | 21 |
| 15. | „ნეფთჩი“ (ბაქო) | 27 | 5 | 6 | 16 | 25-41 | 16 |
| 16. | „კაირატი“ (ალმა-ათა) | 27 | 4 | 4 | 19 | 19-48 | 12 |

ფეხბურთი

## I ლიგის საგზურებისათვის

გაიმართა II ლიგის ზონებში გამარჯვებული გუნდების I ლიგაში გადასასვლელი ტურნირის მეორე ტურის შეხვედრები: **„ა“ ჯგუფი:** „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — „ნეფტიანიკი“ (ფერგანა) 1:0. მდგომარეობა ჯგუფში ორი ტურის შემდეგ ასე გამოიყურებოდა:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ნისტრუ“ | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 2 |
| „ნეფტიანიკი“ | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 2 |
| „ირტიში“ | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |

**„ბ“ ჯგუფში** ქუთაისის „ტორპედო“ შინ შეხვდა ნოვოროსიისკის „ცემენტს“, მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0. გათამაშების ცხრილში ორი ტურის შემდეგ ასეთი მდგომარეობაა:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპედო“ | 2 | 1 | 1 | 0 | 4-1 | 3 |
| „ცემენტი“ | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 3 |
| „ტრაქტორი“ | 2 | 0 | 0 | 2 | 2-6 | 0 |

**„გ“ ჯგუფი:** „ბუკოვინა“ (ჩერნოვცი) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) 2:1. გათამაშების ცხრილი 1 ნოემბრისთვის:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ფაკელი“ | 1 | 1 | 0 | 0 | 5-0 | 2 |
| „ბუკოვინა“ | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 2 |
| „ურალმაში“ | 2 | 0 | 0 | 2 | 1-7 | 0 |

## დასაევის მიემგზავრება

**პრესაში** გამოჩნდა ცნობა იმის თაობაზე, რომ მოსკოვის „სპარტაკისა“ და სსრ კავშირის ნაკრების ფეხბურთელი, მსოფლიოს საუკეთესო მეკარედ აღიარებული რინატ დასაევი შესაძლოა ასევე აღმოჩნდეს უცხოეთის პროფესიულ კლუბში.

23 ნოემბრისთვის ესპანეთის ქალაქ სევილიაში განზრახულია მოეწყოს საერთაშორისო მატჩი ამ ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდის „სევილიასა“ და მოსკოვის „სპარტაკს“ შორის. როგორც ორგანიზატორებს აქვთ განზრახული, რ. დასაევი პირველ ტაიმში დაიცავს „სპარტაკის“ კარს, ხოლო შესვენების შემდეგ — „სევილიისას“.

რინატ დასაევის ესპანურ კლუბში გადასვლის საკითხზე მოლაპარაკებას აწარმოებდნენ სსრ კავშირის სპორტსახკომი და „სევილია“, მომრიგებელი ფირმა იყო „დორნა“. რ. დასაევი ორი წლით უნდა გადავიდეს ესპანეთის კლუბში, კონტრაქტით გათვალისწინებული თანხა 2 მილიონ დოლარს შეადგენს, ამ თანხიდან 5 პროცენტს მიიღებს „დორნა“, 40 პროცენტს — „სპარტაკი“, დანარჩენი 55 პროცენტი კი ჩაირიცხება სსრ კავშირის სპორტსახკომის ანგარიშზე. თუ შემდგომში ორმხრივი შეთანხმება იქნა, კონტრაქტი გაგრძელდება კიდევ ორი წლით და იმავე თანხით.

ეს ხმები გამართლდა და მსოფლიოს საუკეთესო მეკარეც ახლა ბოლო თამაშებს ატარებს თავისი გუნდის შემადგენლობაში. როგორც მოსკოვის „სპარტაკის“ საფეხბურთო კლუბის დირექტორმა ი. შლიაპინმა განაცხადა, რ. დასაევმა ხელი მოაწერა კონტრაქტს „სევილიასთან“, ნოემბრის დასასრულს იგი ესპანეთს გაემგზავრება.

რ. დასაევის „სევილიაში“ გადასვლა დიდი დანაკლისია მოსკოვის „სპარტაკისთვის“. მაგრამ, გარდა ამისა, ამ გუნდიდან დონის როსტოვის „როსტსელმაშში“ სამუშაოდ მიემგზავრება ერთ-ერთი მწვრთნელი პ. შუბინი, უფროს მწვრთნელს კ. ბესკოვს კი კარგა ხანია განცხადება აქვს დაწერილი „სპარტაკიდან“ წასვლის თაობაზე.

## „პარტიზანს“ გამარჯვება შეუნარჩუნეს

ფეხბურთის მოყვარულებმა იციან, რომ იტალიის „რომამ“ გააპროტესტა უეფა-ს თასის ბელგრადში ჩატარებული მატჩის შედეგი იუგოსლავიის „პარტიზანთან“, რომელიც იუგოსლაველმა ფეხბურთელებმა მოიგეს ანგარიშით 4:2. „რომას“ კაპიტანს ჯოვანი ჯანინის ტრიბუნიდან ლითონის საგანი ესროლეს სწორედ მაშინ, როცა იგი მეტოქის კართან კუთხურს აწოდებდა. ჯანინიმ მძიმე ტრავმა მიიღო, იგი შეცვალეს, მატჩის დამთავრებამდე კი სულ ორიოდე წუთი იყო დარჩენილი.

ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირის სადისციპლინო კომისიამ სასწრაფო სხდომა მოიწვია, სადაც განიხილა ეს ინციდენტი. კომისიამ დაამტკიცა მატჩის შედეგი 4:2 „პარტიზანის“ სასარგებლოდ, მაგრამ „პარტიზანი“ დააჯარიმა 10 ათასი შვეიცარიული ფრანკით, გარდა ამისა, მას აეკრძალა ევროპის საკლუბო თასის მორიგი თამაშის ჩატარება თავის მინდორზე.

ამრიგად, „რომა“ კვლავ რთული ამოცანის წინაშე იმყოფება საპასუხო მატჩის წინ, რომელიც 9 ნოემბერს უნდა გაიმართოს რომში, მაგრამ კლუბს ნება დართეს 3 დღის განმავლობაში გაასაჩივროს უეფა-ს სადისციპლინო კომისიის ზემოაღნიშნული დადგენილება.

## ამერიკა — დანარჩენი ნაკრები

**მსოფლიოს** 1994 წლის ჩემპიონატი ფეხბურთში, როგორც ცნობილია, გაიმართება ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამერიკელები, ეტყობა, დიდად დაინტერესებული არიან ამ დიდი შეჯიბრების მაღალ დონეზე ორგანიზებისთვის, საამისოდ მათ საინტერესო პროგრამა აქვთ დასახული. მანამდე კი ამერიკელებმა გადაწყვიტეს მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობისთვის მიეძღვნათ მატჩი, რომელშიც მინდორზე გამოვიდოდნენ ბოლო ორი ათწლეულის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელთაგან დაკომპლექტებული გუნდები. ამ მატჩს ასეც დაარქვეს: ამერიკა (ნაკრები) — დანარჩენი სამყარო (ნაკრები).

პირველი ბურთი მე-6 წუთზე გაიტანა ჩილიელმა ფეხბურთელმა კაზელიმ, რომელმაც ბადეში გაგზავნა ჩრდილოეთირლანდიელი მეკარის ჯენინგსის მიერ მოგერიებული ბურთი — 1:0. ეს გოლი რამდენიმე წუთის შემდეგ გაქვითა იტალიელმა პაოლო როსიმ, ხოლო პოლონელი ბონეკისა და ფრანგი პლატინის მიერ გათამაშებული კომბინაციის შემდეგ, 76-ე წუთზე, მიშელ პლატინიმ დააწინაურა მსოფლიოს ნაკრები — 2:1.

მატჩის დამთავრებას 12 წუთი აკლდა, როცა ამერიკელთა თავდამსხმელმა ბრაზილიელმა რიველინომ საპასუხო ბურთი გაიტანა — 2:2, მატჩიც ამ ანგარიშით დამთავრდა.

ზემოჩამოთვლილ ფეხბურთელთა გარდა მატჩში მონაწილეობდნენ ისეთი გამოჩენილი ოსტატები, როგორც ფრანც ბეკენბაუერი (გფრ), ეუსებიო (პორტუგალია), რუუდ კროლი და იოჰან ნეესკენსი (ჰოლანდია), მარკო ტარდელი (იტალია), ედუ (ბრაზილია), ბობი ჩარლტონი (ინგლისი) და სხვანი.

„ჯაინტს სტეიდიუმის“ სტადიონზე მატჩს 20 ათასი მაყურებელი დაესწრო.

ფეხბურთი

## ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციაში

**ფეხბურთის** საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის ჟ. აველანჟის მეთაურობით ჰოლანდიაში მოეწყო დახურულ შენობაში პირველი მსოფლიო ჩემპიონატის წილისყრა. ამ შეჯიბრებას უცხოეთში უწოდებენ „ხუთი-ხუთზე“.

შეჯიბრება ჰოლანდიაში გაიმართება სულ მალე — იანვარში. მსოფლიო ჩემპიონატს „ხუთი-ხუთზე“ თავისი წესები აქვს. პირველი ჩემპიონატი მიეძღვნება ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციის 100 წლისთავს.

დარბაზში პირველი მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილენი გამოვლინდნენ არა შესარჩევი თამაშების შედეგად, არამედ შესაბამისი საკონტინენტო ფეხბურთის ფედერაციების წარდგინებით, რაც საბოლოოდ ფიფა-მ დაამტკიცა. ვინაიდან მექსიკის ფეხბურთის ფედერაცია ორი წლითაა დისკვალიფიცირებული, მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება მიეცა კანადას, ხოლო აფრიკის კონტინენტიდან მაროკოს უარის გამო ფინალში დაუშვეს ალჟირის ნაკრები.

დარბაზებში I მსოფლიო ჩემპიონატის 4 ჯგუფი ასე დაკომპლექტდა:

**„ა“ ჯგუფი:** ჰოლანდია, დანია, პარაგვაი, ალჟირი;

**„ბ“ ჯგუფი:** ბრაზილია, უნგრეთი, საუდის არაბეთი, ესპანეთი;

**„ც“ ჯგუფი:** იაპონია, ბელგია, კანადა, არგენტინა;

**„დ“ ჯგუფი:** იტალია, ზიმბაბვე, ავსტრალია, აშშ.

როგორც ჟ. აველანჟმა განაცხადა, დარბაზებში მსოფლიო ჩემპიონატის შემდგომი, II გათამაშება გაიმართება 1993 წელს.

ჟ. აველანჟმა ოფიციალურად განაცხადა ისიც, რომ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას პირველი მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარება ქალთა შორის განზრახული აქვს 1991 წელს ჩინეთში.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ცნობაში ნათქვამია აგრეთვე, რომ შემდგომი ოლიმპიური თამაშების საფეხბურთო ტურნირში, რომლის ფინალური თამაშები 1992 წელს გაიმართება ბარსელონაში, მონაწილეობის უფლება აქვთ 1969 წლის 1 იანვრის შემდეგ დაბადებულ ფეხბურთელებს. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს იმას, პროფესიონალები არიან თუ არა ისინი და მონაწილეობდნენ თუ არა მსოფლიო ჩემპიონატებში.

რედაქტორი
თ. ბაჩეჩილაძე

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096,
თბილისი, ლენინის ქ. 14,
ქვეშერებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-52,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10927